პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი
არმიელი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ, მასალები მიიღება რედაქციაში 9—3 საათ. ყოველ დღე
რედაქც. მისამართი:
სახ. სამხ. კ-ს შინ. პირ. სართ.
რუსთაველის პრ. № 31

სამშაბ. 13 თებერვალი
1923 წ.
წელიწადი მესამე

№ 213 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 213

საქართველოს სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატი უღრმესი მწუხარებით აუწყებს პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ დაწესებულებებს და მოქალაქეებს, რომ შაბათს, 10 თებერვალს ქალაქ ოზურგეთის მახლობლად სოფ. ლიხაურში ვერაგულად განგმირული იქნენ მენშევიკების ბანდიტების მიერ ქართული დივიზიის მოწინავე მებრძოლნი: სამოსწავლო ძირითად ათასეულის სამხედრო კომისარი ამხანაგი:

საშა ალექსანდრე) ობოლაძე

ამავე ათასეულის უფროსი ამხანაგი:

პოლიკარპე სანიკიძე

და გუნდის უფროსის თანაშემწე ამხანაგი:

დავით ჩუბინიშვილი

საქართველოს წითელი ლაშქრის პოლიტგანყოფილება უღრმესი მწუხარებით აუწყებს საბჭოთა მუშაკებს და მოქალაქეებს, რომ შაბათს, 10 თებერვალს ქ. ოზურგეთის მახლობლად ვერაგულად განგმირულნი იქმნენ საბჭოთა ხელისუფლების მტრების მენშევიკების ბანდიტების მიერ ქართული დივიზიის მოწინავე მებრძოლნი ამხანაგები: სამოსწავლო ძირითად ათასეულის სამხ. კომისარი ამხ.

საშა (ალექსანდრე) ობოლაძე

ამავე ათასეულის უფროსი ამხანაგი:

პოლიკარპე სანიკიძე

და გუნდის უფროსის თანაშემწე ამხ.

დავით ჩუბინიშვილი

ბანდიტური სახე მენშევიზმისა საქართველოში

მენშევიკურმა მთავრობამ სამი წლის განმავლობაში დაანთო ნაციონალური ბრძოლის ცეცხლი მეზობელ ერებთან და შინ, საქართველოში კი მოღალატური, ეკონომიური და პოლიტიკურ სფეროებში, აწარმოებდა აშკარად მხოლოდ ბურჟუაზიისათვის სასარგებლო პოლიტიკას.

თავიანთ თავს უწოდებდენ მუშათა კლასის წარმომადგენლებს, ხოლო ფაქტიურათ აშენებდენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს და აძლევდენ ბურჟუაზიის ყოველგვარ საშუალებას მუშათა კლასის თავისუფალ ექსპლოატაციისას.

საქართველოს მუშათა კლასმა პრაქტიკულათ შეიგნო მენშევიზმის მათ მიმართ მოღალატური ტაქტიკა და რევოლუციონური მრისხანებით გაალამტვერა „დემოკრატიული" ხელისუფლება და დაამყარა საკუთარი დიქტატურა.

ორი წელი სრულდება რაც საბჭოთა ხელისუფლება ბრძანებლობს საქართველოში და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მუშათა და გლეხთა ფართო მასები უკვე მჭიდროთ შემოკრბენ საბჭოთა მთავრობის გარშემო და სრულის ნდობით აღჭურვეს ის. ეხლა საქართველოს მშრომელი ხალხი საბჭოთა მთავრობასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული ეწევა საქალაქო და სასოფლო მეურნეობის აღდგენა—განვითარებისათვის დაუღალავ მუშაობას. მთელი მშრომელთა ფრონტი გაერთიანებულია საბჭოთა მთავრობის გარშემო მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს აშენებაში.

საქართველოს მშრომელ ხალხში მენშევიკურმა პარტიამ დაჰკარგა ყოველგვარი გავლენა და მათ მიერ გამოშვებული არალეგალური ფურცლები რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

მენშევიკური პარტია საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და დაიწყო შექმნილ მდგომარეობიდან გამოსავალის გამოძებნა. ჯერ მიმართა ხალხს აჯანყებისაკენ, მაგრამ ხალხი ყრუდ შეხვდა. შემდეგ მოუწოდა ხალხს საბჭოების არჩევნებში მონაწილეობა არ მიეღოთ, აქაც დამარცხდენ. ბოლოს მიმართეს უკანასკნელ ხერხს, ბანდიტიზმს.

მენშევიკები ფიქრობენ: „ბანდიტური მოქმედებით გამოვიწვევთ სახალხო მეურნეობის განადგურებას, რაც შექმნის მშრომელი ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებას და მისგან გამომდინარე მასსიურ უკმაყოფილებას. მთავრობა ბანდიტიზმის წინააღმდეგ სასტიკ ზომებს მიიღებს და ამას კი ჩვენ პროვოკაციულათ გამოვიყენებთ, ავამღვრევთ წყალს და დავიწყებთ შიგ თევზების ჭერასო".

მაგრამ მენშევიკებს დაავიწყდათ, რომ მათ ხალხი წყევლით და კრულვით იხსენიებს მათი „საგმირო" საქმეებისათვის.

საბჭოთა მთავრობამ ქართული ჯარის და ადგილობრივი მცხოვრებლების დახმარებით ჩვენი ქვეყნის მრავალ კუთხეში სრულიად აღმოფხვრა ქურდობა და ბანდიტობა. ჯერი მიდგა გურიაზე. იქ თავი მოიყარა საზოგადოების ნაძირალების საკმაო რიცხვმა და პოლიტიკურათ გაკოტრებულ მენშევიკების მეთაურობით განაგრძობდენ ბანდიტურ საქმიანობას.

გურიაში ბანდიტიზმის წინააღმდეგ გაგზავნილი იყო ჩვენი საუკეთესო ამხანაგი საშა ობოლაძე. მან თავისი დაუღალავი მუშაობით და უდიდესი გამოცდილებით შესძლო მრავალი ბანდიტების და ქურდების დაჭერა. სრულიად უდანაშაულო მცხოვრებნი მენშევიკების პროვოკაციის წყალობით, გაიქრენ ტყეში და მიჰყვეს ბანდიტობას ხელი. ამხ. საშა ობოლაძემ ისინი შეარიგა მთავრობას და დაუბრუნა სოფელს, როგორც მშვიდობიანი მცხოვრებნი, ხოლო რამოდენიმე პროფესიონალურ ბანდიტებისა და თავზე ხელ აღებულ გაბრაზებულ გაბანდიტებულ მენშევიკებისა, გურია სრულიად გასწმინდა ამხ. საშა ობოლაძემ.

გურიის მშრომელი გლეხობა დარწმუნდა, რომ საბჭოთა მთავრობა მას ანთავისუფლებს ქურდ ბაცაცებისა და ბანდიტებისაგან და ამისათვის ამხ. ობოლაძის მიერ ყოველ სოფელში გამართულ მიტინგებზე აღუთქვამდენ მას ყოველ მხრივ დახმარებას ბანდიტებთან ბრძოლაში და კიდევაც ფაქტიურათ ეხმარებოდენ.

გურიის ბანდიტების სულის ჩამდგმელ მენშევიკებმა აშკარათ დაინახეს, რომ მათი უკანასკნელი თავშესაფარი გურიაც, საბჭოთა ხელისუფლების გავლენის ქვეშ მოექცა და ამისათვის გადასწყვიტეს ტერორისათვის მიემართათ.

მართლაც დეპეშებმა მოგვიტანა მეტათ სამწუხარო ცნობა, რომ სოციალ-ბანდიტებმა, ტერორის ხული აქტით სიცოცხლეს გამოასალმეს ხალხის მეგობარი ამხ. საშა ობოლაძე და მისი თანამომუშავენი ამხ. სანიკიძე და ჩუბინიშვილი.

ტერორისტული საშუალება მენშევიკებისა არის სასიკვდილო აკორდი მათი მოქმედებისა საქართველოში.

საქართველოს მუშები და მშრომელი გლეხობა საბჭოთა მთავრობასთან ერთად თავის რისხვას თავს დაატეხავს ბანდიტებათ ქცეულ მენშევიკებს და სამარადისოთ დაასამარებს მათ ხსოვნასაც კი, ქართველი ხალხის მეხსიერებაში.

სამი გმირის ხსოვნას.

საზარელი მკვლელობა

გურიაში 10 თებერვალს ბანდიტებმა დახოცეს სამი საუკეთესო ამხანაგი რევოლიუციონერი: სამოსწავლო ათასეულის სამხკომი, ცნობილი კომუნისტი მუშა საშა ობოლაძე, ამავე ათასეულის უფროსი სანიკიძე და მისი თანაშემწე—ჩუბინიშვილი.

აღნიშნულმა მკვლელობამ დიდი მწუხარება გამოიწვია მთელ საქართველოს წითელ არმიის ნაწილებში, რადგან განსვენებულთ იცნობდნენ როგორც სამაგალითო მომუშავეთ და დამცველთ საბჭოთა ხელისუფლებისა.*)

პირველი სამოქალაქო პანაშვიდი.

თფილისის ამხანაგებმა რაკი იმ დღესვე დეპეშით გაიგეს ეს საზარელი ამბავი, შეიკრიბნენ 10 თებერვალს საღამოს ცენტრარმკლუბში და თვალ-ცრემლიანი იგონებდნენ დახოცილ ამხანაგების ხსოვნას.

საშა ობოლაძე.

ვერაგულათ მოკლული ამხ. საშა ობოლაძე ცნობილი იყო არა მარტო, როგორც სამაგალითო პოლიტიკური ხელმძღვანელი წითელ არმიის, არამედ მას იცნობდნენ მუშები, განსაკუთრებით რკინისგზელები.

წარსულში იგი მოღვაწეობდა პირველ რაიონში, როგორც შეუდრეკელი რევოლიუციონერი და დაუძინებელი მტერი მენშევიკებისა.

მენშევიკების გაქცევის დროს მან გადაარჩინა რკინის გზა დარბევისაგან, რადგან მენშევიკების გაქცევის დღიდან მან იკისრა ბათომ—თფილისის ლიანდაგის დაცვა და დაიცვა.

შემდეგ მას ნიშნავენ პ. რველ რაიონის პარტბიუროს პასუხისმგებელ მდივნათ.

ჩოლოყაშვილის ამბოხების დროს იგი სტოვებს აღნიშნულ თანამდებობას და იარაღით ხელში სათავეში უდგება წითელ არმიელებს და უშიშრათ მიდის ჩოლოყაშვილის და მის დამქაშების დასამარცხებლად.

ამარცხებს კიდევაც და უკან დაბრუნებისთანავე განაგრძობს წითელარმიაში სამსახურს.

ამას წინეთ გაგზავნილი იყო გურიაში ბანდიტიზმის აღმოსაფხვრელად და იქ რევოლიუციონურ მოვალეობის საკურთხეველზე მსხვერპლად შეეწირა.

საშას კალამს ეკუთვნის ახალი პიესა, სადაც აწერილია წითელ-არმიელების ბანდიტებთან ბრძოლა. აღნიშნული პიესა რამოდენიმეჯერ დაიდგა ნაძალადევის თეატრში და დასტოვა დიდი შთაბეჭდილება.

საშა ობოლაძის სიკვდილმა დიდი და გულწრფელი მწუხარება გამოიწვია, როგორც წითელ-არმიელებში მუშებში და ყველა მათში, ვინც ახლოს იცნობდა ამ იშვიათ გმირ ამხანაგს.

წითელი კომანდირები სანიკიძე და ჩუბინიშვილი.

ბანდიტებმა არც ეს ორი ახალგაზდა ინტელიგენტი დაინდვეს და შეუბრალებლად დახოცეს.

სანიკიძე და ჩუბინიშვილი თითით საჩვენებელნი ამხანაგნი და საბჭოთა ხელისუფლების დამცველნი იყვნენ.

მათ სახელი გაითქვეს ჩოლოყაშვილის რაზმთან ბრძოლის დროს, როგორც დაუძინებელნი მტერნი ბანდიტებისა. ისინი უშიშრად ხელმძღვანელობდნენ წითელ არმიელებს და მათ დიდი ამაგი დასდვეს დუშეთის მაზრაში ბანდიტების აღმოფხვრის საქმეში.

გურიაშიაც გულმოდგინეთ განაგრძნობდნენ სამსახურს და ყველა წითელი არმიელი სცემდა მათ პატივს, როგორც სამაგალითო უფროსებს რევოლიუციონური ჯარისა.

და მათი უდროვოდ სიკვდილი მეტად სამწუხარო შეიქმნა წითელარმიისათვის.

სამოქალაქო პანაშვიდი.

კვირას 11 თებერვალს ცენტრარმკლუბში დანიშნული იყო სამოქალაქო პანაშვიდი.

10 თებერვალს გურიაში ბანდიტების მიერ დახოცილი ამხანაგების სახსოვრად.

ჯერ საღამოს შვიდი საათი არ იყო, რომ კლუბის აუდიტორია გაჭედილი იყო მუშებით და წითელ არმიელებით.

ყველას მწუხარე სახე ჰქონდათ, რადგან ერთნაირად აღელვებულნი იყვნენ ამ საზარელ მკვლელობით.

1. სცენაზე.

აიხადა ფარდა

სცენაზედ სამგლოვიარო პლაკატები და საშა ობოლაძის დიდი სურათი დამშვენებული გარშემო ყვავილებით.

პოლიტგანყოფილების საგიტაციო განყ. უფროსი, ამხ. ეგიკოვი ხსნის კრებას და აუწყებს მას სამგლოვიარო დეპეშას.

შემდეგ წინადადებას აძლევს დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცენ განსვენებულთა ხსოვნას.

მთელი აუდიტორია, როგორც ერთი კაცი დგება და ორკესტრი, უკრავს სამგლოვიარო მარშს.

შემდეგ გამოდიან სამხედრო და მუშების ორგანიზაციების წარმომადგენლები და ამბობენ სამგლოვიარო სიტყვებს, სადაც აღნიშნავდნენ განსვენებულთა თავდადებულ ღვაწლ რევოლიუციისათვის და მუშათა კლასის გამარჯვების საქმეში.

სამგლოვიარო სიტყვებს ამბობენ ქართულ დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწე ამხ. მარქაროვი, დივიზიის უფროსი ლექვთაძე, პირველ რაიონის პარტბიუროს პასუხისმგებელი მდივანი გოლიბაძე, რკინის გზის მუშების წარმომადგენელი—ოძელაშვილი, განათლების კომისარიატიდან-მამულაშვილი, წითელი არმიელებიდან ჯღერი. დივიზიის შტაბის სამხკომი სიჭინავა, ჩანქული და სხვა.

ყველა ორატორი წყევლა კრულვას უგზავნის მკვლელებს და თვალცრემლიანი იგონებენ განსვენებულებს. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რკინისგზელების წარმომადგენელმა ოძელაშვილმა, რომელიც სიტყვის დროს, აკრძალვით და დაიჩოქა რა სამი ობოლაძის სურათის წინ, ხმა მაღლა ფიცი დასდო მუშების მხრივ, რომ საშას მიერ ჩანერგილი მათში რევოლიუციონური ცეცხლი არა დროს არ ჩაქრება და ყოველი მათი ცდა იქნება იქით მიმართული, რომ განახორციელონ ის იდეალები, რომლისთვისაც თავი დასდო განსვენებულმა.

და ბოლოს ამხ. ეგიკოვმა ამცნო დამსწრეთ, რომ ამხანაგების გვამებს მოასვენებენ ქალაქში დასაკრძალავათ ორი დღის შემდეგ და მათ გადაწყვეტილი აქვთ გამართონ სამოქალაქო პანაშვიდი უფრო ფართო მასშტაბით.

დაკრძალვის და სამოქალაქო პანაშვიდის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

სვიმონი.

---

*) ვრცელი ბიოგრაფიულ ცნობებს ტრაღიკულად დაღუპულ ამხანაგების მოვათავსებთ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

რედაქცია.

ჩვენს წითელ ჯარში

დამცველი არის!

როგორც კი საერთაშორისო მდგომარეობა გაუარესდა, საბჭოთა ხელისუფლებამ იმ თავიდანვე გააფრთხილა მშრომელები:

— საზღვარ გარეთ თოფის წამლის სუნი ადის.

ყურადღება!

ჯერ კიდევ არავინ ლაპარაკობს ომის შესახებ.

თითეულმა ჩვენგანმა იცის, როგორ ხცდილობს საბჭოთა ხელისუფლება მთელი თავისი ენერგიით აცდინოს რესპუბლიკას ახალი საომარი მოქმედება და შეტაკებანი.

მაგრამ, როგორც კი გაისმა გაფრთხილების ხმა, ყური სცქვიტა და შეინძრა წითელი არმია. მასში 1901 წ. ახალგაზრდობაა, რომელიც თითქოს გაურკვეველი არის პოლიტიკაში, და რომელსაც ნაკლებად აქვს შესისხლხორცებული ძველი წ. არმიის სული.

მაგრამ არა! ახალგაზრდობა გასცილდა ახალ-გაზრდობის საზღვარს, მან უკვე ყველაფერი იცის, ყველაფერი ესმის. მას უკვე თვითონ უნდა გახდეს ისეთი, როგორც იყვნენ სოფელში დაბრუნებული მათი წინა მოადგილეები.

ის სახელოვნად იცავს იმ ანდერძს, რომელიც მიიღო მან წითელ ყაზარმაში სადღესასწაულო შეხვედრის დროს.

სამხედრო გაზეთების რედაქციებში მიჰქრის წერილები და ლექსები.

— ჩვენ მზათა ვართ, ჩვენ ყველა, როგორც ერთი კაცი დავიცავთ რესპუბლიკას, ხელში არავის ჩაუვარდებით ყოველგვარ გაჭირვებას ავიტანთ, ჩვენ გავიმარჯვებთ.

ომი არ არის. ჩვენ შევსძლებთ შემდეგში მის თავიდან აცილებას, მაგრამ 1901 წლიანების მედგარი ხმა უკვე გამარჯვების მომასწავებელია. დეე იმ ჯაშუშებმა, რომლებიც დაძრწიან ჩვენი შინაური ცხოვრების კუნჭულებში გადასცენ თავის ბატონებს იმ ძლიერი გამოძახილის შესახებ.

(გაზ. „მედნატა“).

კედლის გაზეთი პირველ ლეგიონში.

ამ ბოლო ხანში 1-ლ ლეგიონში გამოვიდა კედლის გაზეთი № 7 ამ უკანასკნელმა №-მა წითელ არმიელების ყურადღება მიიპყრო, იმით რომ გაზეთში არის ლეგიონის ცხოვრებიდან კარიკატურები და სხვა საგულისხმო წერილები. ერთ წუთსაც ვერ ნახავთ, რომ მას წითელარმიელები არ კითხულობდნენ და თავის ცხოვრებას არ უკვირდებოდნენ.

ამით სწორეთ თავის მიზანს მიაღწია პოლიტ-განმანათლებელმა კომისიამ და დაადგინა, რომ შემდეგისათვის ნომერი უფრო გაადიდოს და ხელი შეუწყოს წითელ არმიების განვითარებას. მაშ გაუმარჯოს ჩვენს შეგნებულ და განვითარებულ წითელ ლაშქრელებს! და გაუმარჯოს პოლიტ- განმანათლებელ მუშაობას ჩვენს წითელ ჯარში.

მეთვალყურე: ქარჩხაბელი.

ახალი ამბები

საზარელი მკვლელობა.

გურიიდან მოსული ცნობით: ათ თებერვალს ოზურგეთის გზაზე მიმავალ ეტლს, სადაც იხსდნენ სამოსწავლო ათასეულის სამხკომი საშა ობოლაძე, ამავე ათასეულის უფროსი სანიკიძე და მისი თანაშემწე ჩუბინიშვილი, თავს დაეცა ბანდიტების რაზმი და სროლა აუტეხა. ბანდიტებმა იხმარეს აგრეთვე ყუმბარებიც. ეტლში მჯდარი სამივე ამხანაგები სროლის დროს დაიხოცა.

დახოცილ ამხანაგების გვამებს თბილისში ჩამოასვენებენ 14 თებერვალს.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

სმოლკის გასამართლება.

ცნობილ აფერისტ სმოლსკის და მისი დამქაშების საქმე დამთავრდა 11 თებერვალს. სასამართლომ გაამართლა მხოლოთ ერთი—ფედოროვიჩი. დანარჩენები იცნო დამნაშავეებათ და მიუსაჯა: სმოლსკის ხუთი წლის სატუსაღო განცალკევებით, კონდრატიევს და კაჩკუროვს ხუთ ხუთი წელი სატუსაღო იძულებითი სამუშაოთი, ქრისთავს ერთი წლის სატუსაღო და ივანოვს კი სამი წლიწადი სატუსაღოში ჯდომა და იძულებითი მუშაობა.

სასამართლოს განაჩენს საზოგადოებამ დიდი აღტაცებით და ვაშის ძახილით შეხვდა.

დაღუპულ მფრინავების დაკრძალვა.

შაბათს 10 თებერვალს დიდი ამბით დაასაფლავეს 6 თებერვალს ფრენის დროს დაღუპულ სამხედრო მფრინავ სვიმონ დავითაშვილის, მოტორზე მომუშავე კირილე ტაბაკაშვილის და გიორგი კურიტიძის გვამები. დასაფლავებას აურებელი ხალხი და ჯარის ნაწილები დაესწრო. წარმოითქვა სიტყვები. იყო მრავალი გვირგვინიც.

დასაფლავება მოხდა დიდუბის ეკლესიის გალავანში.

ქართული ენა ქართულ შეერთებულ სამხ. სკოლაში.

ამ რამოდენიმე დღის წინად მოხსენება გააკეთა სკოლაში ამხ. დუდუჩავამ იმის შესახებ თუ რა კავშირი უნდა ჰქონდეს სხვა და სხვა საერთო განათლების საქმეს პოლიტიკურ განვითარებასთან და კერძოთ ის შეეხო ამ საკითხს იმდენით, რამდენათაც ის საჭიროებას წარმოადგენს ჩვენს სამხ. სკოლაში. მომხსენებელმა საუცხოვოთ დაასურათა თუ რა პირობებში შეიძლება ასეთი კავშირის წარმოება. მე, მსურს ამის შემდეგ მაინც გამოვყო ქართული ენის საკითხი, ვინაიდან მე ეს იმდენით მაინტერესებს რამდენათაც მე ამ საგანს ვასწავლი ხსენებულ სკოლაში. შეიძლება გადაჭრით ითქვას რომ მართლაც შესაძლოა ქართული ენის შეფარდება პოლიტ განვითარებასთან რასაკვირველია, თუ მხედველობაში მივიღებთ ქართულ ლიტერატურას და მას სხვა და სხვა ხანებათ დავყოფთ, და თვითეულ ხანის მწერლებს შეუფარდებთ პოლიტიკურ განვითარების საკითხებს. ასეთი დაყოფა შესაძლოა ბატონყმობის ხანის შესასწავლათ დიდ დახმარებას გაგვიწევს სხვა და სხვა ქართული-ლიტერატურის ნაწარმოებნი, როგორც არის მაგ. დ. ჭონქაძის „სურამის ციხე.,“ ილია ჭავჭავაძის: „კაკო ყაჩაღი,“ „კაცია ადამიანი,“ და სხვა...

მხატვრული ნაწარმოებები გარდა, შესაძლოა სახალხო პოეზიიდანაც იქნეს გავლილი სხვა და სხვა მასალები, როგორიც არის მაგ. „არსენას ლექსი,“ ეს ერთად-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია გლეხური პოეზიის, რომელიც გამოხატავს ჩვენი ხალხის პროტესტს ბატონყმობის წინააღმდეგ. ხოლო, რაც შეეხება რელიგიის და საერთოდ ცრუმორწმუნეობის გამომხატველ ნაწარმოებთ. ასეთებსაც ჩვენ, შევხვდებით დ. კლდიაშვილს და სხვა ქართველ მწერალთა თხუზულებებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლაში ეგ. ნინოშვილის თხუზულებათა შესწავლას, როგორც არის მაგალითად „პალიასტომის ტბა“ სადაც არის დასურათებული კაპიტალის თავდასხმა სოფელზე და მისი არა სასურველი შედეგები. „მოსე მწერალი“ და სხვა მისი ნაწარმოებნიც შესწავლის ღირსნი არიან თვითმპყრობელობის უმზგავსო მოქმედებას, და ბრძოლა მთიელებისა თავისუფლებისათვის გამოხატავს ალ. ყაზბეგის „ელისო.“ საერთოდ უნდა აღვნიშნოთ რომ ქართული ლიტერატურის შესწავლას, შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს პოლიტიკურ განვითარებას ჩვენს სკოლაში, რომლის შესახებაც სამართლიანად მიგვითითა მომხსენებელმა ამხ. დუდუჩავამ.

(შემდეგი იქნება.)

ალ. გორ—ძე.

„შეფი დაგვეკარგა.“

„მეორე ლეგიონის შეფი „არკოს“ ამერიკის და რუსეთის კოოპერატივის საზოგადოება დაგვეკარგა, თუ მოკვდა—საფლავი ვერა ვნახეთ, რომ ცრემლი მაინც დაგვეფრქვია ზედ.“

სად არის ჩვენი შეფი „არკოს“
ან რომელსა მხარესა?!
ნუ თუ უნდა დაგვეკარგოს—
ბედს შეგვეყაროს მწარესა!?

აბა რისთვის გვიშვილა,
თუ—კი არ ვეყვაროდით?!
მან ზურგი მოგვიშვირა—
ჩვენ რაღას შევხაროდით!?

სად არის ჩვენი „მამა?“
ნეტავ მის თავს რა მოხდა!
გვსურდა „ცრემლით“ გვენამა,
თუ მართლა სადმე მოკვდა!

მთელს ბათუმში დავდივართ—
ვერა ვნახეთ საფლავი!
არ ვიცით რას ჩავდივართ...
ვიხმობთ ხმა გულ-საკლავით!..

ოჰ, მამაო ჩვენო, „არკოს!“ —
შვილნი რათ დაგვამწუხრე!
ვაჰ, თუ ეგრე არ ივარგოს—
მაშ ნუღარ დაგვამდუღრე!..

ო, დაიძინე ტკბილად.
გადაგიხდით პანაშვიდს!
საფლავს იყავი თბილად—
"ალილლუიას" გეტყვით მშვიდს!..

ფაშნა.

როგორი სამხედრო ძალის გამოყვანა შეუძლია პოლონეთს თუ ის ისურვებს ომის დაწყებას.

ყველას ახსოვს ალბად ის შესანიშნავი წერილი პოლონეთის ჟურნალისტის დობროვსკის, რომელიც იყო გამოქვეყნებული ამას წინათ ჩვენი გაზეთების ფურცლებზე. აღნიშნულ წერილში დობროვსკის ჩამოყალიბებული ჰქონდა გეგმა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა პოლონეთის მიერ აღმოსავლეთ პრუსიის და საბჭოთა რესპუბლიკებს მიწების ხელში ჩაგდება. ახლახან ევროპაში შექმნილია ისეთი მდგომარეობა, რომელიც შესაძლებელია ყველაზე შერჩეულ დროთ და თავის მტაცებლური მიზნების განსახორციელებლად მოეჩვენოთ პოლონეთის ბანებს. და მართლაც საფრანგეთის მიერ გამართული „უსისხლო ომი“ რურში თოფის წამლის სარდაფების ამაფეთქებელ პატრუქს იძლევა, ლიტვის ნაციონალისტების მიერ მემელის დაპყრობა ძალიან მოფიქრებული ნაბიჯი გამოდგა და ფეხსაც აღარ სძრავენ იქედან. ყველა ამას ადვილად შეუძლია გამოიწვიოს პოლონეთის მიერ ახალი შეტაკებების მოწყობა. ამიტომ იყო რომ „სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის უწყებანი“, აფრთხილებდა პოლონეთს, რომ მის კეთილ გონიერებაზე იქნება დამოკიდებული ევროპაში ზავის ჩამოგდების სრული უზრუნველყოფა.

როგორი შეიარაღებული ძალებით არის აღჭურვილი პოლონეთი და საკმარისია თუ არა ეს ძალები მისი ზრახვების განსახორციელებლად?

რეგულიარული არმია.

იგივე დობროვსკი აღნიშნავდა, რომ 30 დივიზი არაა საკმარისი საომარ მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად და მოითხოვდა ამ ციფრის საგრძნობლად გადიდებას. ყველასათვის გასაგებია, რომ 30 ფეხოსან მსროლელ დივიზიის გარდა პოლონეთს ყავს სხვა იარაღით შეჭურვილი ჯარიც.

1922 წ. არმიის რეორგანიზაციის შემდეგ პოლონეთს დასახელებულ 30 დივიზის გარდა კიდევ ყავს 10 კავალლერ. ბრიგადა, 10 ცალკე ცხენოსანი პოლკი, 30 მსუბუქი საარტილერიო პოლკი: 10 მძიმე საარტ. პოლკი, 10 ცხენოსანი საარტ. დივიზიონი, 2 სამთო საარტ. პოლკი, 1 საალყო საარტ. პოლკი, 1 საზენიტო არტ. სამ-ხწ, დივიზიონი, 10 საპიონერული პოლკი. 3 საავიაციო პოლკი, 5 საჰაერო მომქმედი, 5 ტანკებიანი პოლკი და სხვა დამხმარე ნაწილები.

სულ შეიარაღებული ძალის რაოდენობა უდრის 300,000.

ეს განუზომლად დიდია ჩვენს წითელ არმიაზე, თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში, პოლონეთის რესპუბლიკის სივრცეს საბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით.

მაგრამ ეს ცოტაა.

გარდა 300,000 ჯარის კაცისა პოლონეთს იარაღის ქვეშ ყავს კიდევ ფარული შეიარაღებული ძალები, რომლებიც ყოველ წუთს მზად არიან გამოვიდნენ თოფით ხელში.

ეს სხვა და სხვა მსროლელი, საპორტო, სამხედრო და სხვა საზოგადოებებია, რომლებიც სავსებით დასანდობ და გაწვრთნილ მებრძოლთა კადრებს წარმოადგენენ. მსგავსი საზოგადოებები მრავალია.

„სკაუტი“, შევარდენი“, „სახალხო ყარაულო“, „სამოქალაქო ყარაული“, „განაპირა ადგილების დამცველი საზოგადოება“, „ბარტოშის მოხალისე რაზმი“, „ზემო სილეზიის აჯანყებულთა კავშირი“, მსროლელთა კავშირი“, „კავშირი მოსაზღვრეთა“ და სხვა. არ კმაყოფილდება რა აღნიშნულ საზოგადოებების მუშაობით, პოლონეთი აპირებს მოაწყოს საერთო სამხედრო სწავლა ახალგაზრდობის შორის სასწავლებლებში. თითქმის ყველა აღნიშნული საზოგადოებები შესდგება სრულიად საიმედო ბურჟუაზიულ და „კულაკურ“ ელემენტებისაგან: ყველა საზოგადოებებში ყოველდღიურათ მიმდინარეობს სამხედრო მეცადინეობა.

საერთო რიცხვი აღნიშნულ საზოგადოებებში შემავალ წევრებისა (ამ პოლონეთის არმიის რეზერვისა) სავსებით არ არის გამორკვეული. მაგრამ ის ყოველ შემთხვევაში მაინც აღემატება არსებულ სამხედრო ძალების რიცხვს.

სისუსტის ჭია.

ის არის და საგრძნობლად აღესინებს კბილებს პოლონეთის თითქოს დიდად მრისხანე არმიას.

პოლონეთის არმია, როგორც თვით პოლონეთი შეკოწიწებულია რუსეთის, გერმანიის და ავსტრიის ნამსხვრევებისაგან. აქედან ბრძოლა რუსეთის, გერმანიის და ავსტრიის თერ აფიცრებს შორის.

ეს ბრძოლა იმდენად ძლიერია, რომ თვით ოფიცერთა წრეში გაჩნდა სრულიად განცალკევებული სხვა და სხვა ჯგუფები.

პოლონეთის მოსახლეობის ნაწილების შორის ნაციონალური ანტაგონიზმი (გალიციის „აჯანყება“ მაგალ ისევე ახასიათებს მას (პოლონეთს) როგორც სხვა მის შინაგან სუსტ მხარეებთან ერთად, კაპიტალისტურ წესწყობილების უკუღმართობა წარმოშობით საზოგადოთ.

მაგრამ მეტად სასაცილო იქნებოდა, რომ იმედი ვიქონიოთ მაინც და მაინც პოლონეთის არმიის შინაგან დაშლაზე. პოლონეთის მაღალი წრეები დიდი ნერვიულობით ემზადებიან საფრანგეთის ახლო დახმარებით თავისი სისხლიანი მიზნების განსახორციელებლად.

ერთი სიტყვით ჩვენ წითელ არმიას მოუხდება მთელი თავისი ენერგიით ხელი მოჰკიდოს, არმიის სამხედრო სწავლების აპარატების სათანადო შემჭიდროებასა და გამტკიცებას.

რ. ფ. ს. ც.

ტირაჟი 1500.

პასუხისმგებელი რედაქტორი 3. ქუთათელაძე